N104

ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N104

ქ. თბილისი 30.10.2012 წ.

1. ერთი მხრივ, შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია ს/კ 404391136 (შემდგომში–მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი ტალონების აღრიცხვის ოპერატორის თემურ გოგატიშვილის სახით და მეორე მხრივ, აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის სამინისტრო ს/კ 249267172 (შემდგომში–შემსყიდველი ორგანიზაცია) წარმოდგენილი მისი მინისტრის ნანა შეროზიას სახით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის 20² მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N 2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მე–9 მუხლის მე–7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში–ხელშეკრულება) შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი: ტალონური სისტემით საწვავის ბენზინი პრემიუმი (არანაკლებ 95 ოქტანობისა) და რეგულარი (ოქტანობა არანაკლებ 91–სა ევრო 3 სტანდარტი) ნასყიდობა.

3. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება: ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 2847 (ორიათასრვაასორმოცდაშვიდი) ლარს. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეიძლება შეიცვალოს ამავე ხელშეკრულებაში არსებული მე–5–ე მუხლის მიხედვით.

4. მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედვით: წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემსყიდველი ორგანიზაცია შეისყიდის ბენზინს პრემიუმი (არანაკლებ 95 ოქტანობისა) 810 (რვაასათი) ლიტრი, რეგულარი (ოქტანობა არანაკლებ 91–სა ევრო 3 სტანდარტი) 500 (ხუთასი) ლიტრის ოდენობით.

5. მხარეები თანხმდებიან, რომ მიწოდების ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საწვავის ფასი განისაზღვრება ინვოისის/ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის დღეს მიმწოდებლის საცალო ქსელში დაფიქსირებულ ფასს მინუს 4 (ოთხი) თეთრი დღგ-ს ჩათვლით.

6. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საწვავის ფასის გადახდა ხდება წინსწრებით. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ტალონების გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, საწვავის ფასის გადახდიდან 3 (სამი) დღის ვადაში.

7. საწვავის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001-ს შესაბამისად.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა: წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

9. შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებისა და მიმწოდებლის საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

10. მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ შემსყიდველზე გადადის ტალონების დაზიანების, განადგურების, დაკარგვის რისკი და მიმწოდებელი თავისუფლდება ტალონების გამოცვლის, ან დაკარგვით გამოწვეული რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან. შემსყიდველზე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან სხვა სახეობის ტალონებზე გადაცვლას; ტალონით საწვავის გადაცემისას დაუშვებელია ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონის ნაწილობრივი განაღდება.

11. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ავთენტური ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო ერთი მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი ორგანიზაცია“	„მიმწოდებელი“
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო	შპს. „სან პეტროლიუმ ჯორჯია“
მინისტრი	ტალონების აღრიცხვის ოპერატორის
ნანა შეროზია	თემურ გოგატიშვილი
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)
ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი	ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი,
ალ. ყაზბეგის გამზ. N42	დ. აღმაშენებლის N154
ს/კ 249 267 172	ს/კ: 404391136
სს „თი-ბი-სი ბანკის“ საბურთალოს ფილიალი	სს „საქართველოს ბანკი“ ც/ფ
ბანკის კოდი: **TBC BGE22**	ბანკის კოდი: **BAGAGE22**
ა/ა 301 340 801 000 04	ა/ა **GE62BG0000000876831000**
ტელეფ/ფაქსი: 239 41 13	სს „თი-ბი-სი ბანკის“ ც/ფ
	ბანკის კოდი: **TBC BGE22**
	ა/ა **GE05TB7538836020100001**